პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 იანვარი, კვირა, 1987 წ.
№ 12 (9428) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

▲ ტყიბულელები მილწეულით არ კმაყოფილდებიან. (მე-2 გვ.).

▲ თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდი ახალი ჩემპიონატის წინ. (მე-2 გვ.).

▲ ფეხბურთში საიუბილეო 50-ე ჩემპიონატის კალენდარი (მე-3 გვ.).

▲ „ოქროს ბურთის" ლაურეატები — ჯორჯ ბესტი (მე-4 გვ.).



სულ უფრო მეტ მაყურებელს იზიდავს სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც თბილისის ცირკი მასპინძლობს. გუშინ აქ გაიმართა მეორე წრის ორი შეხვედრა. სარბიელზე პირველად წილკნისა (მცხეთა) და ვაყის (ხაშური) ფალავნები გამოვიდნენ. დაძაბული პაექრობა წილკანელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:4. გიორგიწმინდელმა (საგარეჯო) მოჭიდავეებმა იოლად დაამარცხეს თემქის გუნდი — 6:3.

ამ შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# თბილისის „დინამო" ფინალისტთა ექვსეულში



**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის კალენდარი ერთობ არამდგრადი და დაქუცმაცებული იყო. ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩებმა და სხვა საერთაშორისო შეხვედრებმა, რომლებშიც უმთავრესად ჩვენი წამყვანი გუნდები (კაუნასის „ჟალგირისი", ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი") მონაწილეობენ, ერთიანი გრაფიკი დაარღვია და ახლა მისი „გამრთელება" ხდება.

კერძოდ, გაურკვეველი მდგომარეობაა დონეცკის ჯგუფში, სადაც ადგილობრივი „შახტიორის" გარდა ასპარეზობენ თბილისისა და მოსკოვის დინამოელები, აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისი". ფაქტიურად აქ დარჩენილი შეხვედრებით დამთავრდება უმაღლესი ლიგის 54-ე ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომელმაც ექვსი ფინალისტი და ამდენივე „აუტსაიდერი" უნდა გამოავლინოს.

16 იანვარს გაიმართა პირველი გამოტოვებული მატჩი მოსკოვისა და თბილისის თანაკლუბელთა შორის, რომელსაც ჩვენი კალათბურთელებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოველებს გამარჯვება ბოლო ადგილიდან სატურნირო ცხრილის უფრო მაღალ საფეხურზე გადაიყვანდა, მაგრამ მათი პერსპექტივები, ასე თუ ისე, მაინც გარკვეული იყო — ფინალისტთა ექვსეულში სამივე დარჩენილი შეხვედრის მოგებითაც კი ვერ გავიდო-

იხ. მე-3 გვ.

# იქმნება დახმარების ფონდი

**სტიქია** ულმობელია, მით უმეტეს უცაბედად თავს დატეხილი. საქართველოს მაღალმთიან რაიონებს ბუნებამ მკაცრი გამოცდა მოუწყო: არნახულმა დიდთოვლობამ გასაჭირში ჩააგდო ბევრი სოფელი და დასახლებული პუნქტი, იმსხვერპლა ადამიანები. რესპუბლიკის მშრომელები არაფერს იშურებენ დაზარალებულთა დასახმარებლად. უბედური შემთხვევების ადგილებზე ერთ-ერთი პირველნი ჩავიდნენ ჩვენი მთამსვლელები, სამაშველო ჯგუფების წევრები.

მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინეს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრებმა. მათ დაზარალებულთა დასახმარებლად ფულადი ფონდი შექმნეს — კოლექტივმა 500 მანეთი გაიღო. ფალავანთა ინიციატივას სხვა სპორტსმენებიც გამოეხმაურნენ.

საქართველოს სპორტსახკომმა მოიწონა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა თაოსნობა და სახბანკის რესპუბლიკურ კანტორას წინადადებით მიმართა გახსნას სპეციალური ანგარიში ფულადი დახმარების მისაღებად. ამ წინადადებას სახბანკმა მხარი დაუჭირა. თუ სად გაიხსნება ანგარიში და რა ნომრით, ამას ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში გაცნობებთ.

## ელვა-ინფორმაცია

### თბილისის „დინამო" აქტიურ მზადებას შეუდგა

დღეს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე მიემგზავრება ლესელიძეში. გუშინ დინამოელებმა თბილისში, დიღმის ბაზაზე საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებთან. თბილისელებმა ამ მატჩში ორი მშრალი ბურთი გაიტანეს.

## პირველად — საბჭოთა კავშირში



ლატვიის სსრ. სიგულდეში მწყობრში ჩადგა ხელოვნური ყინულსაფარიანი საციგაო-ბობსლეის ტრასა, რომლის სიგრძე 1 კილომეტრი. აღსანიშნავია, რომ ასეთი სპორტული ნაგებობა პირველია ჩვენს ქვეყანაში.

სურათზე: ახალი ტრასის დისტანციაზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი

# „ჩრდილი, რომელმაც მთელი რაიონი მოიცვა"

„თქვენი გაზეთის 1986 წლის 30 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „ჩრდილი, რომელმაც მთელი რაიონი მოიცვა" — პასუხად საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი გაცნობებთ, რომ მასში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

საკითხი რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ განიხილა რაიკომის ბიუროს 1986 წლის 24 დეკემბრის სხდომამ, სადაც მკაცრი შეფასება მიეცა არსებულ მდგომარეობას. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები და გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კერძოდ, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება უკვე სწავლობს სპორტკომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" მუშაობას და საჭიროებისამებრ დააყენებს მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხს.

საგაზეთო პუბლიკაციაში კრიტიკული შენიშვნა იყო გამოთქმული ენისლის საშუალო სკოლის სპორტული მოედნების მისამართით, რომლებიც სადღეისოდ ნაწილობრივ მოწესრიგებულია.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ერთობლივი ძალებით ერთი თვის ვადაში ჩატარდება რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა ატესტაცია. სპორტკომიტეტი „კოლმეურნესთან" ერთად განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს ფეხბურთელთა გუნდის — „დურუჯისათვის" ღირსეული, სრულფასოვანი რეზერვის შესაქმნელად. დაისახა ღონისძიებანი ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის სრულყოფისათვის.

სოფელ შილდის კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა ყოველმხრივ დააჩქაროს სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი კვლავაც ქმედით ღონისძიებებს გაატარებს ფიზკულტურულ-სპორტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

იოსებ მოლაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი".

# ლუცკსა და ნიკოპოლში

**ბოლო** ხანს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ძიუდოისტები წარმატებით გამოდიან საკავშირო სარბიელზე. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ კბილაშვილისა და მისი კოლეგების აღსაზრდელებმა ახლახან ლუცკსა და ნიკოპოლში გამართულ შეჯიბრებებზე ისახელეს თავი.

ლუცკში მოეწყო „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 1970-72 წლებში დაბადებულთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 33 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე ადგილზე გავიდა რსფსრ-ის ნაკრები (23 ქულა), მესამეზე — უკრაინის კოლექტივი (12 ქულა).

პირად ტურნირში გაიმარჯვეს გიგლა ადიბეგოვმა (57 კგ, № 31 პროფტექსასწავლებელი), გერასიმე ხაბულიანმა (62 კგ, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი), ბაკურ თურქაძემ (68 კგ, № 3 პროფტექსასწავლებელი) და კობა გურეშიძემ (+83 კგ, ზესტაფონი), ვერცხლის ჯილდო მიიღეს ჯონი დაბრუნდაშვილმა (57 კგ, № 31 პროფტექსასწავლებელი) და ტარიელ მუთოშვილმა (68 კგ, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი), ბრინჯაოსი — ენვერ ბუცხრიკიძემ (62 კგ) და გიორგი მუმლაძემ (83 კგ). აღსანიშნავია, რომ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის 10 ძიუდოისტი. ისინი ახლა ჭაბუკთა საკავშირო პირველობისთვის ემზადებიან.

უფრო ადრე, ნიკოპოლის საკავშირო ტურნირში ჩვენს ჭაბუკ ძიუდოისტებს ასევე პირველი გუნდური ადგილი ერგოთ, პირად ტურნირში კი საპრიზო ადგილზე 9 მოჭიდავე გავიდა. პირველი ადგილები დაიკავეს მამუკა მახათაძემ (53 კგ), გიგლა ადიბეგოვმა (57 კგ), გენადი მუმლაძემ (83 კგ) და ვეფხია კაპანაძემ (+ 83 კგ).

ნიკოპოლში პარალელურად ძიუდოისტ გოგონათა ტურნირიც მოეწყო. მზია მელქონაშვილმა და ნანა ოდიკაძემ (ორივე — 61 კგ) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

# რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისი იყო

— ფიზკულტურასა და სპორტში მუშაობა უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად უპასუხებს იგი დღევანდელ მოთხოვნებს, — ითქვა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს XIX მოწვევის X სესიაზე.

ტყიბულში და მისი ზონის სოფლებში ბევრი რამ გაკეთდა სპორტული ბაზების მშენებლობისა და მატერიალური ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის. მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს ემსახურება სპორტის სასახლე, საცურაო აუზი, სტადიონი, 13 საფეხბურთო მოედანი, 17 სპორტული დარბაზი და 20-ზე მეტი სხვადასხვა სპორტული ობიექტი. მაგრამ სესიაზე ითქვა ისიც, რომ ეს ბაზები მთელი დატვირთვით არ მუშაობენ. არ თბება „საქნახშირის" ბალანსზე მყოფი აუზი, სპორტის სასახლე, შესაკეთებელია სტადიონი. ეს სტადიონი, რომელიც 7000-მდე მაყურებელს იტევს, წინათ ტყიბულელი მეშახტეების საყვარელი შესაკრები ადგილი იყო.

ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს — ითქვა სესიაზე, — ვერ შეუფასებია კულტმასობრივი და ფიზკულტურული მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა. მუშაობის გარდაქმნის მიზნით საქალაქო საბჭომ გადაწყვიტა შეიმუშაოს სპორტული ბაზების მშენებლობის კომპლექსური გეგმა 1987-1990 წლებისათვის.

დიდი ხანია, რაც დღის წესრიგში დგას სოფლების კეთილმოწყობის საკითხი. აქ გადასაწყვეტია სპორტული ნაგებობების პრობლემაც. ამ საქმეში ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა. თუ მოინდომებენ, შესანიშნავი ფეხბურთის მოედნების მოწყობა შეუძლიათ ორპირში, საწირეში, ბრესილში, კურსებში და სხვა სოფელში.

რაიონის სპორტის მესვეურებმა სესიაზე აღნიშნეს, რომ ტყიბულის წყალსაცავზე მარტივი წყალჯომარდობის სადგურის მოწყობა შეიძლება. იქვე უნდა დაინერგოს მოტო-საწყლოსნო და საიალქნო სპორტი, შეიქმნას ტურიზმის ობიექტები...

სესიის მონაწილეებმა აღნიშნეს ისიც, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის ოსტატების მომზადებას. ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვი იზრდება, მაღალთანრიგოსანი სპორტსმენები კი არ ჩანან.

სესიაზე დაისვა საკითხი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული ბაზების სრულყოფისა და მათი მუშაობის რადიკალური გარდაქმნის შესახებ. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან შრომითმა კოლექტივებმა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საშეფო წესით სპორტული მოედნების მშენებლობას.

სპორტული ბაზების შემდგომი გაფართოების მიზნით ტყიბულში და მისი ზონის სოფლებში დიდი და ფართო მასშტაბის სამუშაოებია შესასრულებელი. ის, რაც აქამდე გაკეთდა, მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო.

**ელგუჯა ბაქრაძე,**
**„ლელოს" კორ.**

ტყიბული.

# მორიგი „მარათონის" წინ

**წყალბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატი თებერვალში იწყება, პრიზიორთა ვინაობა კი მხოლოდ დეკემბერში ირკვევა. შარშანაც ასე იყო, შარშანწინაც... ჩემპიონატი დამთავრებას ვერ ასწრებს, რომ მეორე იწყება. ჩვენც, სპორტული ჟურნალისტები, ვცდილობთ „მარათონელებს" ფეხდაფეხ ვსდიოთ. თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდს ვაკის საცურაო აუზში, ვარჯიშზე ვესტუმრეთ, გვინდოდა მის უფროს მწვრთნელთან, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ირაკლი ჩხიკვაძესთან გვესაუბრა. გვაინტერესებდა როგორ ემზადებიან დინამოელები წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატისთვის. რა უჭირთ და რა ულხინთ ჩვენს ბიჭებს.

— ხომ გაგიგონიათ, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, — გაეღიმა ჩხიკვაძეს, როცა ჩვენი ვიზიტის მიზეზი შეიტყო.

**● განა ახეთი რა გაქვთ სათქმელი? ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. თუ გაქცევა გახდა საჭირო, ერთად გავიქცეთ.**

—მაშინ თანახმა ვარ. ვიხუმრე, თორემ სათქმელი მეც და ჩემს წინამორბედებსაც ყოველთვის დაუფარავად გვითქვამს.

**● მაშ გისმენთ.**

— დღეს გუნდს, სრულფასოვანი ვარჯიშისა და შეკრებისთვის, სჭირდება ბაზა, რომელსაც სპორტდარბაზიც ექნება, სასტუმროც და საკვები ბლოკიც. ჩვენ არც ერთი გვაქვს, არც მეორე და არც მესამე. ვარჯიშის შემდეგ სად მიდის სპორტსმენი, დროს როგორ ატარებს ან რით იკვებება, არ ვიცით. ახლა საერთო ფიზიკურ მომზადებაში აუზის სპორტდარბაზში, საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნურ მანეჟში და კუს ტბის მიდამოებში ვავარჯიშობთ, მაგრამ წყალბურთელებს სპეციფიკური პირობები სჭირდებათ. მადლობა ღმერთს, რომ აუზში წყალი მაინც გვაქვს. მაგრამ მარტო ამ სიკეთით შორს ვერ წავალთ.

**● ვითომ კედელს ცერცვს ვაყრით?**

— არა, არც მასეა საქმე. მალე აუზის უკან ჩვენი ბაზის მშენებლობა დაიწყება. გვპირდებიან, რომ ამ ბაზას წელსვე გადმოგვცემენ.

**● შარშანდელ ჩემპიონატში VII ადგილი დაიკავეთ, იქნებ იმიტომ, რომ თქვენ და გუნდის მეორე მწვრთნელი ბორის მეგედი საქართველოს ნაკრებსაც, ფაქტიურად სრულიად სხვა გუნდსაც ამზადებდით IX სპარტაკიადისთვის. აქ დიდ წარმატებას მიაღწიეთ, ვერცხლის მედლები მოიპოვეთ, მეორე „ფრონტზე" კი...**

— შარშან საკავშირო ჩემპიონატზე ყველაფერი ფაქტიურად რვა წყალბურთელმა: გვახარიამ, კუტივაძემ, ზუმბულიძემ, კოლუაშვილმა, ნიკოლაიშვილმა, კანდელაკმა, ბალათურიამ და გუნდის კაპიტანმა რურუამ იტვირთა. რაც შეეხება დანარჩენებს, ახალგაზრდა მოთამაშეებს მაჭავარიანსა და ჩვენი გუნდის მეკარის სეხნიასა და მოგვარეს, მცველ მიხეილ გიორგაძეს, ისინი ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ იმისათვის, რომ მთელი დატვირთვით ეთამაშათ. ამიტომ სარბიელზე იშვიათად გამომყავდა. ბუნებრივია, რვა წყალბურთელს გაუჭირდა ბრძოლა. ერთ ტურში რომ ერთს ჰქონდა ჩავარდნა, მეორეში მეორე ველარ თამაშობდა. ჩვეული ოსტატობით არ გამოირჩეოდა მეკარე გიორგაძეც, რომელსაც ტუკვაძე ცვლიდა. აი, ამიტომ ვერ გამოვედით შარშან სტა-



სხვაა გუნდის პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინება.

**● რახან ასეა, გვითხარით როგორი შესაძლებლობები აქვს „დინამოს".**

— ვფიქრობ, მისი ადგილი ოთხეულშია. ყოველ შემთხვევაში, გუნდი მეხუთე ადგილზე დაბლა არ უნდა ჩამოვიდეს.

**● საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამო" დიდი ხანია, რაც ხუთეულს არ გაცილებია და ერთთავად იმის ცდაშია, რომ ექვსეულში მოხვდეს. თქვენ კი ოთხეულში „უმკვიდრებთ" ადგილს. რისი იმედი გაქვთ? გუნდს შევსება ხომ არ მიუღია?**

— დიახ, სათადარიგო მოთამაშედ მოვიწვიეთ სპარტაკიადის მონაწილე სამი წყალბურთელი: გობეჯიშვილი, ჩოლარია და მეკარე კერესელიძე, რომლებიც აქამდე „ნორჩი დინამოელის" ღირსებას იცავდნენ. იმედს კი ისევე ძველ მოთამაშეებზე და იმ ახალგაზრდებზე ვამყარებთ, რომლებიც შარშან იშვიათად გამოგვყავდა სარბიელზე. მათ საკავშირო სპარტაკიადაზე გამოცდილება შეიძინეს და თავიანთი შესაძლებლობებით ძირითად წყალბურთელებს გაუთანაბრდნენ. ახლა საკავშირო ნაკრებში კვლავ უხმეს მეკარე გიორგაძეს, რომელმაც ჩვეული სპორტული ფორმა დაიბრუნა. საკავშირო ნაკრების კანდიდატებად მიწვეულნი არიან უმცროსი გიორგაძე, გვახარია, ბითაძე, რამიშვილი და მაჭავარიანი. ბიჭებმა ფიზიკური მომზადებაც გაიუმჯობესეს, რაშიც ყოველთვის მოვიკოჭლებდით. ცურვაშიც თითქმის ყველამ გააუმჯობესა შედეგი. რაკი ახლა გუნდში, მეკარეების ჩაუთვლელად, უკვე თერთმეტი თანაბარი ძალის წყალბურთელი გვყავს, იმაზე მაინც აღარ ვიფიქრებთ, ვინ გამოვიყვანოთ სარბიელზე. თანაც ტაქტიკური სქემები და ვარიანტებიც საგრძნობლად გავამდიდრეთ. ასე რომ, წლევანდელი თბილისის „დინამო" შარშანდელზე გაცილებით ძლიერი იქნება.



**საუბარი ჩაიწერა**
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

## რას წერდა ჩვენი გაზეთი 30 წლის წინათ

**„ლელო", 1957 წელი, იანვარი.**

● „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო სპორტულმა განყოფილებამ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა ხელმძღვანელობასთან ერთად მოაწყო გუნდის საორგანიზაციო კრება 1957 წლის სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით. გუნდის სამზადისისა და მომავალი გეგმების შესახებ მოხსენება გააკეთა უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ჯეჯელავამ. მომხსენებელმა მოკლედ გაუსვა ხაზი იმ ნაკლოვანებებს და ჩავარდნებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უახლოესი წლების მანძილზე... გასულ წელს იყო დაშვებული შეცდომები როგორც მწვრთნელთა საქმიანობაში, ისე მოთამაშეთა მიერ თვით თამაშის მსვლელობაში (განსაკუთრებით დაცვაში), რაც წელს უნდა აღმოფხვრილ იქნას... გუნდის ხელმძღვანელობა, მწვრთნელები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით აწარმოებენ ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევას, რომელთა რიცხვიდან უნდა მოხდეს „დინამოს" შევსება. ასე იქნა გასინჯული დაახლოებით 180 კაცი, რომელთაგან 65 შეუდგება წვრთნას. ამ ფეხბურთელებთან საწვრთნელ მეცადინეობას ჩაატარებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ჯეჯელავა, ა. კიკნაძე, მ. ბერძენიშვილი, ვ. პანიუკოვი, გ. გაგუა, ა. გალპერინი...

● თბილისში ჩამოვიდნენ მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები გივი კარტოზია და მირიან ცალქალამანიძე, პრიზიორები ვახტანგ ბალავაძე, რომან ძნელაძე, გოგი სხირტლაძე, ნოდარ გვახარია, ნადეჟდა დვალიშვილი, ბორის ნიკიტინი, ოლიმპიადის მონაწილენი რ. ცირეკიძე და ი. ოსიპოვი. მათთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი დ. ციმაკურიძე და ხუთჭიდელ მოფარიკავეთა მწვრთნელი ა. მეფარიანი...

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დედაქალაქის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს ოლიმპიადის მონაწილეებს... საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ გ. კარტოზია და ნ. დვალიშვილი.

## საქალაქო სპარტაკიადა

**ნებაყოფლობითი** სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ქუთაისის საქალაქო საბჭომ ჩაატარა 30-ე საქალაქო სპარტაკიადა საშუალო-სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გუნდების მონაწილეობით. მოსწავლეები სპორტის ათ სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

სამედიცინო ტექნიკუმის წარმომადგენლები უძლიერესები აღმოჩნდნენ მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, მძლეოსნობაში; ავტომექანიკოსებმა ფრენბურთში (ქალები, ვაჟები), ხელბურთში მშდ მრავალჭიდში და მძლეოსნობაში აჯობეს ყველას, პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეებმა კი კალათბურთში, ჭადრაკში, ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები) გაიმარჯვეს.

ვაჟთა გუნდებს შორის 476 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ავტომექანიკური ტექნიკუმის გუნდმა. მეორე ადგილზე 422 ქულით პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები გავიდნენ.

ქალთა გუნდების შეჯიბრებაში ყველას სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენებმა აჯობეს — 508 ქულა, 480 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ ავტომექანიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები, მესამე ადგილი მუსიკალური სასწავლებლის გუნდმა დაისაკუთრა (370 ქულა).

**„ლელოს" საკ. კორ.**

# თბილისელი მოშაშის აღიარება

**1986 წლის ბოლოს საფრანგეთის ქალაქ ელანკურდში ჩატარდა პრობლემისტთა საერთაშორისო კონკურსი 100-უჯრედიან შაშში, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ოსტატმა იური სპესივცევმა. მის მიერ შედგენილმა ამოცანა-პრობლემამ ერთ-ერთი საპატიო პრიზი მოიპოვა**

შეგახსენებთ, რომ 100-უჯრედიან შაშში წესები ოდნავ განსხვავებულია 64-უჯრედიან შაშის თამაშის წესებისაგან. კერძოდ: ა) როცა ერთდროულად ორ, ან მეტ ხაზზე გვეძლევა ფიგურების აყვანის შესაძლებლობა, ისინი უნდა ავიყვანოთ იმ ხაზზე, რომელზეც უფრო მეტია ასაყვანი. 64-უჯრედიან შაშში კი, ეს დამოკიდებულია მოთამაშის სურვილზე; ბ) პაიკი მიაღწევს თუ არა ბოლო ჰორიზონტალს, მარბიელის (დამკის) ძალას იძენს მხოლოდ შემდეგ სვლაზე. მას არ შეუძლია გააგრძელოს იმავე სვლით მოქმედება მარბიელის უფლებებით, როგორც ეს 64-უჯრედიან შაშშია; და ბოლოს, გ) თუ პაიკი „მსხვერპლის" აყვანის წინ გაივლის ბოლო ჰორიზონტალს (პაიკის უფლებით), იგი რჩება უბრალო პაიკად და არ გარდაიქმნება მარბიელად. 100-უჯრედიან შაშს თამაშობენ 20-20 პაიკით, 50 მუქი და 50 ნათელი უჯრების მქონე 100-უჯრედიან დაფაზე.



ახლა გთავაზობთ იური სპესივცევის ამოცანის ამოხსნას:

1. 34-30, 17:48.

მხოლოდ ასე, რადგან მეორე ხაზზე უფრო ცოტა პაიკია ასაყვანი (იხ. თამაშის ზემოაღნიშნული პირველი წესი).

**2. 39-34, 22:31; 3. 30-25, 48:30; 4. 25:5, 23:34; 5. 33-29, 34:23, 6. 5:35, 18-23.**

წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრები 7. 35-19 სვლით შავებს გადაუკეტავენ 46-5 დიაგონალს.

**7. 35-44! 23-29; 8. 44-39! 1-7.**

თუ 8. ...1-6, მაშინ 9. 39-50 29-34; 10. 50-44 6-11; 11. 44-6, 34-40 12. 6-33 (არ შეიძლებოდა 12. 6-50?? 40-45! რადგან თეთრები ნებისმიერი სვლით იძულებული არიან მოწინააღმდეგეს თვითონვე დაუთმონ გზა მარბიელისაკენ და პარტია ყაიმით დამთავრდება), 12. ... 40-45, 13. 33-50 და შავების პაიკი „45" ტყვედ ჩავარდა..

**9. 39-6!**

სხვანაირად შავი პაიკის მარბიელისკენ მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია.

**9. ...29-34, 10. 6-1 X.**

**როლანდ ქერდიყოშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში



# თბილისის „დინამო“ ფინალისტთა ექვსეულში

(დასასრული)

დნენ და მაინც, დედაქალაქის „დინამო“ თავისი ავტორიტეტისთვის, პრესტიჟისთვის იბრძოდა.

თბილისელებს უფრო კონკრეტული და ამავე დროს ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. კონკრეტული იმდენად, რამდენადაც დარჩენილ ორ შეხვედრაში ერთის მოგებით ფინალის სანუკვარი საგზურის მოპოვება შეეძლოთ, ძნელი კი იმიტომ, რომ დონეცკის „შახტიორიც“ — დინამოელთა მეორე მეტოქეც — იგივე ამოცანის გადაჭრას ცდილობს.

ბრძოლის სიმძაფრეც ამ შეხვედრაში სწორედ გუნდების სატურნირო მდგომარეობამ განაპირობა. სამწუხაროდ, მატჩის მსვლელობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ პირველი ტაიმის შედეგი თავისთავად, ბევრზე მეტყველებს. თბილისელებმა შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, ამ მონაკვეთში გადაწყვიტეს, როცა შესვენებაზე 15-ქულიანი უპირატესობით (60:45) წავიდნენ.

ასეთ საპასუხისმგებლო შეხვედრაში მოპოვებულ ინიციატივას, როგორც წესი, არ კარგავენ. თბილისელებმაც პირველი ტაიმის უპირატესობა მთლიანად შეინარჩუნეს და მეტი დამაჯერებლობისთვის მას კიდევ ოთხი ქულა მიუმატეს — 109:90. 19-ქულიანმა სხვაობამ (თუმცა მიზნის მისაღწევად ამ შემთხვევაში მინიმალური სხვაობით გამარჯვებაც საკმარისი იქნებოდა) თბილისის „დინამოს“ ფინალისტთა ექვსეულის საგზური მოუტანა.

ამ შეხვედრას ჰყავდა თავისი გმირები. თბილისელთა გუნდში ეს გახლდათ კაპუსტინი, რომელმაც კოლექტივს 31 ქულა შესძინა, მოსკოველებში კი კოლიჩევი — 26 ქულა.

როგორ გამოიყურება ამ შეხვედრის შემდეგ სატურნირო ცხრილი, ქვემოთ დაინახავთ. თბილისელები „შახტიორთან“ დამარცხების შემთხვევაშიც კი 35 ქულას აგროვებენ და უსწრებენ კიევის არმიელებსა და ლენინგრადის „სპარტაკს“, რომლებსაც 34-34 ქულა აქვთ. სამაგიეროდ ფინალის საგზურის მიღების შანსები გაუჩნდება „შახტიორს“, თუ იგი ორივე „დინამოს“ დაამარცხებს.

არის კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტი, რომლის თანახმადაც თბილისის „დინამოს“ მესამე ადგილზე გასვლაც კი შეუძლია, მაგრამ ნუ ავჩქარდებით. პირველი ეტაპის დამთავრებამდე დარჩა სამი მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ და „დინამო“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“. დაველოდოთ ამ შეხვედრებს — სატურნირო ცხრილში ყველა ადგილი ამ მატჩების შემდეგ განაწილდება.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 17 | 5 | 2075-1801 | 39 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 21 | 15 | 6 | 1854-1725 | 36 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 13 | 9 | 2011-1975 | 35 |
| ასკ (კიევი) | 22 | 12 | 10 | 1835-1890 | 34 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 22 | 12 | 10 | 1803-1768 | 34 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 13 | 8 | 1657-1714 | 34 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 11 | 9 | 1591-1602 | 31 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 22 | 8 | 14 | 1841-1843 | 30 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 22 | 8 | 14 | 1802-1896 | 30 |
| რტი (მნ.) | 22 | 6 | 16 | 1762-1801 | 28 |
| ასკ (ა.-ათა) | 22 | 6 | 16 | 1774-1924 | 28 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 8 | 12 | 1736-1802 | 28 |

# სსრ კავშირის საფეხბურთო 50-ე ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

### პირველი წრე

**I ტური**

**9 მარტი. ორშაბათი**
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი), ცსკა — „დინამო“ (მინსკი), „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

**10 მარტი. სამშაბათი**
„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა), „შახტიორი“ (დონეცკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „არარატი“ (ერევანი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი).

**11 მარტი. ოთხშაბათი**
„დინამო“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი).

**II ტური**

**13 მარტი. პარასკევი**
„დინამო“ თბ. — „დინამო“ კ., „არარატი“ — „ტორპედო“.

**14 მარტი. შაბათი**
„გურია“ — „სპარტაკი“, „დნეპრი“ — „ზენიტი“, „შახტიორი“ — „ქაირათი“, ცსკა — „ჟალგირისი“, „ნეფთჩი“ — „მეტალისტი“.

**15 მარტი. კვირა**
„დინამო“ მ. — „დინამო“ მნ.

**18 მარტი. ოთხშაბათი**
**ევროპის საკლუბო ტურნირები, მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები.**

**III ტური**

**21 მარტი. შაბათი**
„მეტალისტი“ — „გურია“, „ქაირათი“ — ცსკა, „ზენიტი“ — „დინამო“ მ., „ჟალგირისი“ — „დნეპრი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „სპარტაკი“ — „ნეფთჩი“.

**22 მარტი. კვირა**
„ტორპედო“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ კ. — „არარატი“.

**IV ტური**

**28 მარტი. შაბათი**
„ტორპედო“ — „გურია“, „ზენიტი“ — ცსკა.

**29 მარტი. კვირა**
„მეტალისტი“ — „დინამო“ თბ., „ქაირათი“ — „დინამო“ მ., „ჟალგირისი“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „დნეპრი“, „დინამო“ კ. — „ნეფთჩი“, „სპარტაკი“ — „არარატი“.

**V ტური**

**2 აპრილი. ხუთშაბათი**
ცსკა — „მეტალისტი“.

**3 აპრილი. პარასკევი**
„დინამო“ თბ. — „ზენიტი“, „გურია“ — „ქაირათი“, „დნეპრი“ — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „დინამო“ მ., „არარატი“ — „ჟალგირისი“, „ნეფთჩი“ — „დინამო“ მნ.

**VI ტური**

**6 აპრილი. ორშაბათი**
„გურია“ — „ზენიტი“, „დინამო“ მ. — „მეტალისტი“.

**7 აპრილი. სამშაბათი**
„დინამო“ თბ. — „ქაირათი“, „დნეპრი“ — „სპარტაკი“, „შახტიორი“ — „დინამო“ კ., „ტორპედო“ — ცსკა, „არარატი“ — „დინამო“ მნ., „ნეფთჩი“ — „ჟალგირისი“.

**8 აპრილი. ოთხშაბათი**
**ევროპის საკლუბო ტურნირების (ნახევარფინალები).**

**VII ტური**

**12 აპრილი. კვირა**
„ჟალგირისი“ — „დინამო“ თბ., „დინამო“ მნ. — „გურია“, „ქაირათი“ — „არარატი“, „ზენიტი“ — „ნეფთჩი“, „სპარტაკი“ — ცსკა, „მეტალისტი“ — „დნეპრი“.



**13 აპრილი. ორშაბათი**
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „ტორპედო“ — „შახტიორი“.

**15 აპრილი. ოთხშაბათი**
**შესარჩევი ოლიმპიური ტურნირი.** თურქეთი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).

**18 აპრილი. შაბათი**
**ამხანაგური მატჩი.** სსრ კავშირი (ნაკრები) — შვეცია (ნაკრები).

**22 აპრილი. ოთხშაბათი**
**ევროპის საკლუბო ტურნირები, ნახევარფინალები, საპასუხო მატჩები.**

**29 აპრილი. ოთხშაბათი**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.** სსრ კავშირი (ნაკრები) — გდრ (ნაკრები).

**VIII ტური**

**2 მაისი. შაბათი**
„დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ., „ჟალგირისი“ — „გურია“, „ქაირათი“ — „ნეფთჩი“, „ზენიტი“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — ცსკა, „სპარტაკი“ — „დინამო“ მ., „მეტალისტი“ — „შახტიორი“, „ტორპედო“ — „დნეპრი“.

**6 მაისი. ოთხშაბათი**
**უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი.**

**7 მაისი. ხუთშაბათი**
**ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი.** ბულგარეთი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).

**IX ტური**

**10 მაისი. კვირა**
„ნეფთჩი“ — „დინამო“ თბ. „არარატი“ — „გურია“, „შახტიორი“ — „დნეპრი“, „ქაირათი“ — „ზენიტი“, „ჟალგირისი“ — „დინამო“ მნ., „სპარტაკი“—„დინამო“ კ., „მეტალისტი“ — „ტორპედო“.

**11 მაისი. ორშაბათი**
„დინამო“ მ. — ცსკა.

**13 მაისი. ოთხშაბათი**
**თასების თასის ფინალური მატჩი.**

**14 მაისი. ხუთშაბათი**
სსრ კავშირის თასის 1986-87 წლების გათამაშება, მეოთხედფინალები.

**XI ტურის მატჩი.** „ზენიტი“ — „ჟალგირისი“.

**X ტური**

**18 მაისი. ორშაბათი**
„დინამო“ თბ. — „არარატი“, „გურია“ — „ნეფთჩი“, „დნეპრი“ — ცსკა, „შახტიორი“ — „დინამო“ მ., „ჟალგირისი“ — „ქაირათი“, „დინამო“ მნ. — „ზენიტი“, „მეტალისტი“ — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „დინამო“ კ.

**20 მაისი. ოთხშაბათი**
**უეფა-ს თასის მეორე ფინალური მატჩი.**

**22 მაისი. პარასკევი**
**სსრ კავშირის თასის 1986-87 წლების ნახევარფინალები.**

**XI ტური**

**25 მაისი. ორშაბათი**
ცსკა — „შახტიორი“.

**26 მაისი. სამშაბათი**
„გურია“ — „დინამო“ თბ., „ქაირათი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ კ. — „მეტალისტი“, „სპარტაკი“ — „ტორპედო“, „არარატი“ — „ნეფთჩი“.

**27 მაისი. ოთხშაბათი**
„დინამო“ მ. — „დნეპრი“.

**27 მაისი. ოთხშაბათი**
**ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი.**

**3 ივნისი. ოთხშაბათი**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.** ნორვეგია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).

**XII ტური**

**6 ივნისი. შაბათი**
„ტორპედო“ — „დინამო“ მნ.

**7 ივნისი. კვირა**
„დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „გურია“ — „დნეპრი“, „დინამო“ კ. — „ზენიტი“, „სპარტაკი“ — „ქაირათი“, „მეტალისტი“ — „ჟალგირისი“, „ნეფთჩი“ — „დინამო“ მ. „არარატი“ — ცსკა.

**XIII ტური**

**10 ივნისი. ოთხშაბათი**
„დინამო“ კ. — „ქაირათი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ მნ., „ტორპედო“ — „ჟალგირისი“, „არარატი“ — „დინამო“ მ.

**11 ივნისი. ხუთშაბათი**
„დინამო“ თბ. — „დნეპრი“, „გურია“ — „შახტიორი“, „სპარტაკი“ — „ზენიტი“, „ნეფთჩი“ — ცსკა.

**14 ივნისი. კვირა**
სსრ კავშირის 1986-87 წლების თასი.

**ფინალი**

**XIV ტური**

**17 ივნისი. ოთხშაბათი**
ცსკა — „გურია“, „დინამო“ კ. — „ჟალგირისი“.

**18 ივნისი. ხუთშაბათი**
„დინამო“ მ. — „დინამო“ თბ., „დნეპრი“ — „არარატი“, „შახტიორი“ — „ნეფთჩი“, „ქაირათი“ — „მეტალისტი“, „ზენიტი“ — „ტორპედო“, „დინამო“ მნ. — „სპარტაკი“.

**XV ტური**

**21 ივნისი. კვირა**
ცსკა — „დინამო“ თბ.

**22 ივნისი. ორშაბათი**
„დინამო“ მ. — „გურია“, „დნეპრი“ — „ნეფთჩი“, „შახტიორი“ — „არარატი“, „ქაირათი“ — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „მეტალისტი“, „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“.

**27 ივნისი. შაბათი**
**XVI ტურის მატჩი:** „გურია“ — „ჟალგირისი“.

**1 ივლისი. ოთხშაბათი**
**XVII ტურის მატჩი:** „დინამო“ თბ. — „ჟალგირისი“, **XIX** ტურის მატჩი: ცსკა — „სპარტაკი“.

**2 ივლისი. ხუთშაბათი**
**XXI ტურის მატჩი:** „დინამო“ მ. — „ნეფთჩი“.

**3 ივლისი. პარასკევი**
**XV ტურის მატჩი:** „დინამო“ მნ. — „დინამო“ კ.

• • •

**შენიშვნები: მატჩები გაიმართება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე; თუ კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალებში გავლენ, VI ტურის მატჩი დონეცკის „შახტიორსა“ და კიევის „დინამოს“ შორის გაიმართება 6 მაისს, ხოლო მოსკოვის „ტორპედო“ და ცსკა ითამაშებენ 26 ივნისს. თუ ჩვენი გუნდები ევროპის საკლუბო გათამაშებათა ფინალში გავლენ, მე-9 და მე-11 ტურის მატჩებს საკავშირო პირველობაზე ისინი დამატებითი კალენდრის მიხედვით ჩაატარებენ.**

**სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია.**



## ტელე სანტანა — „ალ აჰლიში“

ტელე სანტანამ, რომელიც 1982-1985 წლებში საუდის არაბეთის კლუბ „ალ აჰლის“ წვრთნიდა და შემდეგ მოკლე ხნით ბრაზილიის ნაკრებს დაუბრუნდა, კვლავ დატოვა სამშობლო. ამჯერად იგი „ალ აჰლის“ ჩაუდგა სათავეში.

## „პელეს თასზე“

**ბრაზილიის** ქალაქებში მიმდინარე ვეტერან ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა. 16 იანვარს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ გფრ — ბრაზილია და არგენტინა — ურუგვაი. ამ მატჩების შედეგები ბრაზილიიდან სამწუხაროდ, არ მიგვიღია, ამიტომ ვაქვეყნებ „პელეს თასის“ ტურნირის მდგომარეობას 16 იანვრისთვის.

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 3 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| გფრ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |
| იტალია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 2 |

გუნდები, რომლებიც ვეტერანთა ტურნირზე პირველ-მეორე ადგილებს დაიკავებენ, დღეს შეხვდებიან ერთმანეთს „პელეს თასის“ გადამწყვეტ მატჩში.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირის პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და იტალიის ვეტერანთა გუნდები. მატჩი მოიგეს ბრაზილიელებმა — 3:0. ბრაზილიელთა მთავარი მოთამაშე 46 წლის პელე (მარცხნივ) შეტევის დროს.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი, მოსმენილი წარსულისაგან

**მას ქუთაისში ყველა იცნობს... ილია ბობოხიძე, წარსულში სახელოვანი მოჭიდავე, დღეს ღვაწლმოსილი მწვრთნელი, დიდებული პიროვნება და მოქალაქე. 70 წლის ვეტერანი კვლავ მწყობრშია, ისევ საჭიდაო დარბაზში ტრიალებს.**

**— ასაკი რომ მოგეძალება, მოგონებები წამოიშლებიანო — ამბობს ხოლმე ბატონი ილია. მოვუსმინოთ მას.**

# ილია ბობოხიძე



### მოგონება პირველი

**დასაწყისი**

1936 წელი იდგა, ალმშენებლობის საოცარი სულისკვეთება სუფევდა ჩვენს ქვეყანაში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფიზკულტურა და სპორტიც. ახალგაზრდები ვიყავით, ღონეც გვერჩოდა, მეოცნებენი ვიყავით. ადამიანის ცხოვრებაში არის დღე, მომენტი, რომელიც მის მომავალს განსაზღვრავს და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარი ხდება. ერთი ასეთი ლამაზი დღე მეც მქონდა...

მე და ჩემი მეგობრები — ვალიკო კუკულავა, შოთა ვაჩეიშვილი ქუჩაზე მივსეირნობდით. ერთგან ბლომად ხალხი შეკრებილიყო, მივუახლოვდით, ყველა ჭიდაობაზე ლაპარაკობდა. დიდი, ლამაზად გაფორმებული აფიშა გვაუწყებდა... „დღეს გაიმართება ამხანაგური მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში ქუთაისელ და თბილისელ ფალავნებს შორის, მონაწილეობენ ცნობილი მოჭიდავეები".

არც დავფიქრებულვართ, დარბაზს მივაშურეთ. განცვიფრებაში მოგვიყვანა შალვა ჩიხლაძე — ლეონიდ ძეკონსკის პაექრობამ. ძეკონსკი 56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პირველად მაშინ გავიგე, რომ ასეთი მჩატე წონის მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ ხალიჩაზე. მეც ჩია ვიყავი და იმ დღეს სხვა თვალით შევხედე ჩემს შესაძლებლობებს. ორიოდე დღის შემდეგ თეთრ ხიდთან რიონზე ჩავედით საბანაოდ, აქ დაგვხვდა ჩემსავით პატარა ტანის ახალგაზრდა — მიტუშა ბერძენაძეა ეგ ბიჭი, ჩემპიონია მჩატე წონაში, — მითხრეს მეგობრებმა და თან ჩამაცივდნენ — მიდი, ეჭიდავეო. „ქუჩური" ჭიდაობის ილეთები კი ვიცოდი, ცირკში ნანახი ორთაბრძოლიდანაც ბევრი რამ მქონდა „დაზეპირებული" ნასწავლი, მაგრამ მაინც არ მეგონა ჩემგან მოჭიდავე თუ დადგებოდა. მოხდა საოცრება: იმ დღეს რიონის პირას „სილის ხალიჩაზე" ჩემპიონს ვსძლიე. შოთა ვაჩეიშვილი მაშინ ჭიდაობის სექციაში დადიოდა და აღარ მომასვენა. ასე აღმოვჩნდი „სპარტაკში", მწვრთნელ შალვა ბაქრაძესთან. მალე „დინამოში" გადავედი გიორგი ბოგდანოვთან. შემდეგ თბილისიდან საქართველოს ჩემპიონი ანდრო ჭელიძე ჩამოვიდა. ის ჩემზე ცოტათი მძიმე იყო და ერთად ვვარჯიშობდით. მალე პირველ შეჯიბრებაშიც მივიღე მონაწილეობა: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე, მაგრამ ვინ მაპატია ის მეორე ადგილი... სახლში დაბრუნებული, ეზოში არ ვიყავი შესული, რომ მამაჩემის ხმა გავიგონე: ქალო, მარიამ, ჭიშკარი მოაფრიალე, თორემ შენი მოჭიდავე, თან ჩემპიონი შვილი მოდის და ცალ კარში ვერ შემოეტევაო...

მეწყინა. სახლში აღარ შევსულვარ, ის ღამე ჩემს ძმასთან გავათენე. კიდევ უფრო მონდომებით განვაგრძე ვარჯიში... 1938 წელს სტალინგრადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირადგუნდური პირველობა. II ჯგუფში ქუთაისის გუნდიც დაუშვეს, რომლის ღირსებას ჩემთან ერთად იცავდნენ: შ. ვაჩეიშვილი, ვ. ფანცხავა, გ. ბოგდანოვი, გ. გამრეკლიძე, ქ. კუჭავა. ჩვენ მეორე ადგილი დავიკავეთ, მე და ფანცხავამ კი ყველა შეხვედრა მოვიგეთ...

### მოგონება მეორე

**50 წელი ხალიჩაზე**

პირველად საკავშირო ჩემპიონატზე 1940 წელს ბაქოში გამოვედი, მეოთხე ადგილი დავიკავე. ბაქოდან თბილისში დავბრუნდი, საქართველოს ნაკრები მოსკოვის გუნდს ხვდებოდა. ამ შეჯიბრებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. არის ბრძოლა, რომელიც სპორტსმენს არასდროს ავიწყდება, ერთი ასეთი შეხვედრა მეც მქონდა თბილისში. ჩემი მოწინააღმდეგე იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ბასკაკოვი. რა თქმა უნდა, ვღელავდი. ათი წუთი ისე მიილია, ქულები ვერც ერთმა ვერ ავიღეთ. გულშემატკივრები გადამეხვივნენ: — ყოჩაღ ილუშა, ბასკაკოვს ათ წუთს ვერავინ უძლებსო. მაშინდელი წესის თანახმად, ორთაბრძოლა ფრედ არ მთავრდებოდა და კიდევ სამი წუთი უნდა გვეჭიდავა, თითქოს კვლავ ფრედ უნდა დაგვემთავრებინა ბრძოლა, მაგრამ ბოლო წამებზე, კისრული გამომივიდა და ორი ქულა მომცეს. დროც დამთავრდა... თითქოს ახლაც ჩამესმის გულშემატკივართა ყიჟინა.

სამამულო ომმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. 23 ივნისს მოხალისედ წავედი ომში და ქუთაისში მხოლოდ 1945 წლის ნოემბერში დავბრუნდი... ჭიდაობას მონატრებული, გაათკეცებული მონდომებით შევუდექი ვარჯიშს, იმავე წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე როგორც კლასიკურ, ისე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, 1946 წელს კი სსრ კავშირის ჩემპიონი გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში. 1953 წლამდე, სანამ ხალიჩაზე გამოვდიოდი, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი ვიყავი, ბევრ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა. გამარჯვებაც მიზეიმია და დამარცხების სიმწარეც განმიცდია. 1948 წელს საქართველოს ნაკრები პირველად შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდს. თბილისის ცირკი მაყურებელს ვერ იტევდა... ჩემი მეტოქე ყველაზე სახელოვანი გამოდგა. ის იყო ევროპის სამგზის ჩემპიონი ა. კვასნიაკი. ბეჭდაუდებელი ფალავანიაო — წერდნენ მაშინ გაზეთები... ოთხ წუთში წმინდად დავამარცხე.

ამასობაში წლები მემატებოდა. 15-ჯერ მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონის ტიტული თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, 4-ჯერ მოვიგე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა, 1946 წელს კი სსრ კავშირის ჩემპიონიც გავხდი, იმავე წელს სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს...

დგება დრო, როცა მოჭიდავე ტოვებს ხალიჩას, მაგრამ მე ჭიდაობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა და ამიტომ მწვრთნელად დავიწყე მუშაობა.

სწორი გამოდგა ჩემი გადაწყვეტილება. რაც მე ვერ გავაკეთე სპორტში, ჩემმა მოსწავლეებმა გააკეთეს. განსაკუთრებით თეიმურაზ აფხაზავას წარმატებები მახარებს. თეიმური მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა, მე — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. დღეს გვერდში მიდგანან ჩემი აღზრდილი სახელოვანი ფალავნები: ე. გოგლიჩიძე, გ. სინაურიძე, ბ. ლეკვეიშვილი, ჯ. კოსტავა, ვ. ჭლიკაძე, თ. ხითარიშვილი, თ. ქურციკიძე, ბ. ესებუა... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ახლაც ცრემლმორეული ვიგონებთ ჩვენს კარგ ფალავანსა და ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს გ. გობეჯიშვილს, რომელიც უდროოდ წავიდა ჩვენგან.

**ბოლოსიტყვაობის მაგიერ**

ჩვენ ილია ბობოხიძეს როგორც მწვრთნელს ისე ვიცნობთ, მაგრამ თუ გადავშლით ძველ გაზეთებს, წავიკითხავთ: „ექსტრა კლასის მოჭიდავის ი. ბობოხიძის გამარჯვება ასეთ ძლიერ მეტოქესთან კანონზომიერი იყო"... „იგი ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეა, მათ შორის ვინც გვინახავს"... „ასეთი სწრაფი, გააზრებული და უაღრესად მაღალტექნიკური ჭიდაობა ხიბლავს მაყურებელს"... ამიტომაა დამსახურებული მწვრთნელის აღზრდილი ფალავნები ფილიგრანული ტექნიკით და, რაც მთავარია, ვაჟკაცობით რომ გამოირჩევიან ხალიჩაზეც და ცხოვრებაშიც.

უმჯობესია თხრობა ისევ ილია ბობოხიძის ნათქვამით დავამთავროთ... „მიუხედავად იმისა, რომ 70 წლის გავხდი, თავს კარგად ვგრძნობ, ახლა განათლების განყოფილების ჭიდაობის სკოლაში ვმუშაობ უფროს მწვრთნელად და ვცდილობ ჩვენ მშობლიურ ქალაქს, რესპუბლიკას კარგი სპორტსმენები და მოქალაქეები აღვუზარდო".

**თამაზ ხარაბაძე.**

# ლანჩხუთის ახალმშენებლობათა ავ-კარგი

**თითქოსდა** ჯერ არ ჩამცხრალა სიხარული მას შემდეგ, რაც ლანჩხუთის „გურიამ" საბჭოთა საფეხბურთო ელიტაში დაიმკვიდრა ადგილი. სიხარული არა მარტო ფეხბურთის მოყვარულებისა, არამედ ყველასი, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟი, მის მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი. სპორტსმენთა წარმატება ხომ მარტო დიდი ფეხბურთის რუკაზე საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრის აღნიშვნას, ამ რაიონულ ცენტრში უძლიერესი საბჭოთა გუნდების ჩამოსვლას არ გულისხმობს — იგი სტიმულს აძლევს მასობრივი სპორტის შემდგომ განვითარებას ვრცელ რეგიონში, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გამოყენების აქტივიზაციას, ხაზს უსვამს მნიშვნელობას რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ზრუნვისა იმისათვის, რომ აქტიური, სასარგებლო, სულიერად შინაარსიანი დასვენების საუკეთესო პირობები შეუქმნან ადამიანებს.

**სახალხო მშენებლობა**

გაჩაღებულია დღეს ლანჩხუთში. პატარა სტადიონის რეკონსტრუქციაში, რომელიც თანამედროვე სპორტულ კომპლექსად — ფიზკულტურისა და სპორტის ნამდვილ ცენტრად გადაიქცევა, სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების განახლებასა და მშენებლობაში გულმხურვალედ ჩაბმულან არა მარტო რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა თუ უწყების წარმომადგენლები, არამედ ლანჩხუთისა და მისი მეზობელი რაიონების მცხოვრებნიც.

145 რკინაბეტონის ფილა დააგეს კოკისპირულ წვიმაში ჩრდილოეთის ტრიბუნაზე „აგრომშენის" № 8 სამშენებლო ტრესტის № 70 მოძრავი მექანიზებული კოლონის მემონტაჟეებმა ვაჟა შავიძემ, გენო ლომაძემ, სოსო ორაგველიძემ, მებეტონეებმა პავლე დვალიშვილმა და გივი წილოსანმა. ხოლო იგოეთის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს კომპარტიის XVI და XVII ყრილობების დელეგატი ბაადურ ნარსია 20 თანასოფლელთან ერთად ფეხბურთის მინდვრის გაზონს დასტრიალებს.

— ოცდახუთ წელს ვიმუშავე ტრაქტორზე, — ამბობს იგი, — მაგრამ მაინც მიწის შვილი ვარ, ამიტომაც მახარებს მასთან დაკავშირებული ყველანაირი სამუშაო. მთავარია დახმარების სურვილი, საკუთარი წვლილის შეტანა სახალხო მშენებლობაში.

აქ მხარდამხარ შრომობენ ქობულეთის, ჩოხატაურის, მახარაძის, სამტრედიის, ცხაკაიას რაიონების, ქალაქების ბათუმის, ქუთაისის, ფოთის მშრომელები... ყოველდღიურად მარტო სტადიონის რეკონსტრუქციაზე 500 კაცი მუშაობს. ამინდის რთულ პირობებში დიდი მონდომება, ინიციატივა და პასუხისმგებლობა გამოავლინეს ლანჩხუთის ახალმშენებლობაზე „თბილგვირაბმშენის", სოხუმის № 9 საგვირაბო რაზმის, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს, „საქნავთობის", „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" ქუთაისის სამმართველოს, „საქჰიდროენერგომშენის" საგზაო მშენებლობის სამმართველოსა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების სპეციალისტებმა. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ლანჩხუთი რაც შეიძლება მალე დამშვენდეს დიდი ფეხბურთისათვის საჭირო ნაგებობებით.

მაგრამ სამწუხაროდ, მშენებლობის რიტმზე მარტო ამინდი როდი ახდენს გავლენას.

**ვეძებთ ვაგონებს**

— მწერალ ს. ალტოვის ცნობილი იუმორესკის გმირების მსგავსად იძახიან დღეს ლანჩხუთელები. ალბათ ბევრს ახსოვს ამ იუმორესკაში აღწერილი ორი № 9 ვაგონის თავგადასავალი. ამდენივე ვაგონს ეძებენ ახლაც, ოღონდ სხვა ნომრებით — 60576121 და 68218544. ჯერ კიდევ ხუთ და შვიდ იანვარს გამოემგზავრნენ ისინი რუსთავიდან ლანჩხუთის სტადიონის ტრიბუნების ასაგებად განკუთვნილი ლითონკონსტრუქციებით. უკანასკნელად ვაგონები 11 იანვარს ნახეს თბილისის სახარისხებელ სადგურში (ნავთლუღი—2). აქედან № 2340 მატარებლით ისინი ხაშურისაკენ გაემართნენ, სადაც რატომღაც ვერ ჩააღწიეს. ლითონკონსტრუქციებით დატვირთულმა რუსთავიდან 9, 10 და 13 იანვარს გამოსულმა კიდევ ოთხმა ვაგონმა ხაშურს კი მიაღწია, მაგრამ დღემდე სადგურს ვერ გასცდა. მახარაძის რკინა-ბეტონის ქარხანაში კი ვერა და ვერ ეღირსნენ ფილების დასამზადებელ 24 ყალიბს — ეს ვაგონიც „უგზოუკვლოდ დაიკარგა". ვაგონების ნომრები აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველებმა შეძლონ მათი დამახსოვრება და მიუთითონ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს (სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. ბალანჩივაძე, მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელი შ. ვეკუა), სად იმყოფება ტვირთი, რომელსაც ასე ელიან ლანჩხუთში.

**ყურადღება — ხალტურა!**

— ასეთი პლაკატის გამოკიდება შეიძლება სასტუმრო „გურიას" შესასვლელთან, რომლის რეკონსტრუქციაც ახლა მიმდინარეობს. აქ მთლიანად უნდა განახლდეს ნომრები, სანტექნიკური კვანძები, მოეწყოს ჰოლები და დერეფნები, მოგვარდეს ცხელი წყლის მიწოდება, ფაქტობრივად ხელახლა შეიქმნას საკვები ბლოკი. ჩამოთვლილი ობიექტებიდან უკანასკნელზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს წარმომადგენლებს (მინისტრის მოადგილე ა. ყურაშვილი, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ბ. კვანტალიანი, სამუშაოთა მწარმოებელი ა. ფირცხალაიშვილი) საერთოდ ვერ მიუწვდათ რატომღაც ხელი, ყველაფერი დანარჩენი კი მუშაობის საწყის სტადიაზეა. მაგრამ იმის ხარისხიც, რაც უკვე გაკეთდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ბევრ რამეში იმის მიზეზითაც, რომ მშენებლობის ტექნიკური კონტროლი შესუსტა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარის მოადგილე ნ. მარგველაშვილი), რომლის ბალანსზეც იმყოფება ამიერიდან ეს ობიექტი. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს მშენებელთა ცაიტნოტს და დავძენთ, რომ სასტუმროს დადგენილ ვადაზე ჩაბარება საფრთხეშია.

იბადება კითხვა — რა იქნა ზოგიერთი თანამდებობის პირის მხურვალე ენთუზიაზმი, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ყველასთან ერთად რომ ხარობდნენ ლანჩხუთელი სპორტსმენების წარმატებით?

მდგომარეობა, რომელიც ლანჩხუთის რაიონში შეიქმნა სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ რიგითი მშრომელების ენთუზიაზმსა და კეთილშობილურ აღმაფრენას მეტი გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით უნდა ეხმაურებოდნენ თავიანთი საქმით და საქციელით დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

**SOS**

**გუშინ, გვიან საღამოს, ლანჩხუთიდან ჩვენმა საგუშაგომ შეგვატყობინა: ხუთმა, შვიდი დაკარგული ვაგონიდან, როგორც იქნა ჩააღწია ლანჩხუთში, ორი ვაგონი კი დიდი ძებნის შემდეგ იპოვნეს... რუსთავში, იმავე ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ჩიხში, სადაც დატვირთეს (?!). ამ ვაგონების ნომრებია 61565821 და 60866977. სამწუხაროდ, არც იმ ხუთმა ვაგონმა მოუტანა სიხარული მშენებლებს. საქაგრომშენის მთავარი ექსპერტის ნოდარ ქაჯაიას დასკვნით, ლითონკონსტრუქციები, არასტანდარტული, ნახევარფაბრიკატია.**

**თავი იჩინა სხვა შეფერხებებმაც. მაგალითად, თავიანთ უბანზე გრაფიკს ჩამორჩება აგრომშენის სამტრედიის № 2 ტრესტი, აგრომშენის № 3 სარემონტო-სამშენებლო ტრესტის სამტრედიის სამმართველო და იგივე აგრომშენის ცხაკაიას № 2 სამშენებლო სარემონტო ტრესტი. ჩამორჩენის მიზეზია უყაირათობა და არაოპერატიულობა.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

# „ფიზკულტურა ახლებურად?"

ჩვენი გაზეთის 1986 წლის 4 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მკითხველები გვატყობინებდნენ იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომელიც შეინიშნება ჭიათურის ფიზკულტურულ-მასობრივ მოძრაობაში. მივიღეთ პასუხი ჭიათურიდან. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. პაპიძე გვწერს:

**„ლელოში" გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „ფიზკულტურა ახლებურად?" მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.**

**აღმოჩნდა, რომ ფიზკულტურული კოლექტივების ინსტრუქტორები ხშირად ზერელედ ეკიდებიან თავიანთ საქმეს. მართალია, საერთო საქალაქო ღონისძიებები ხშირად ტარდება, მაგრამ ადგილებზე ყოველთვის სრულად ვერ იყენებენ არსებულ სპორტულ ბაზებს. ხარვეზები აღმოჩნდა დოკუმენტაციის წარმოების საქმეშიც. ამ ნაკლოვანებათა შესახებ უახლოეს მომავალში საგანგებო მსჯელობა გაიმართება კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და სპორტკომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.**

**სხდომის გადაწყვეტილების შესახებ დამატებით გაცნობებთ".**

**მოკლედ**

**ჭიათურა**

აქ ჩატარდა „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა კრივში 1971-1972 და 1973-1974 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აფხაზეთის, ფოთის, სამხრეთ ოსეთისა და ჭიათურის მოკრივეებმა, სულ რინგზე 117 სპორტსმენი ავიდა.

**ვ. ლურსმანაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# ექვსი ფინალისტი ცნობილია

**როგორც** იქნა დასასრულს მიუახლოვდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. დონეცკში ჩატარდა ორი გამოტოვებული მატჩი, რომლებმაც სიცხადე შეიტანა მთავარ საკითხში — გამოვლინდა ექვსი ფინალისტი, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას 54-ე ჩემპიონატის მთავარი ჯილდოებისთვის — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის.

როგორც იქნაო იმიტომ ვამბობთ, რომ მეორე წრე მთლიანად არ დამთავრებულა. დარჩა ერთი შეხვედრა კაუნასის „ჟალგირისსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის. თუმცა ამ მატჩის შედეგს არსებითი მნიშვნელობა არც ერთი გუნდისთვის აქვს, არც მეორესთვის.

ბოლოსწინა დღეს დონეცკის „შახტიორმა" დაამარცხა მოსკოვის „დინამო" უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ — 91:89.

„შახტიორისა" და თბილისის დინამოელთა შეხვედრის შედეგს მნიშვნელობა მხოლოდ დონეცკელი კალათბურთელებისთვის ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი ადგილს იბევებდნენ ფინალისტთა ექვსეულში. რაც შეეხება „დინამოს", მან თავისი საქმე ფაქტიურად, მოსკოვის თანაკლუბელებთან გამარჯვებით დაამთავრა.

ამ შეხვედრისთვის ისინი საგანგებოდ ემზადებოდნენ. დონეცკში გამგზავრების წინ დარწმუნებული იყვნენ, რომ ბრძოლას სასურველი შედეგით დაამთავრებდნენ. სხვათა შორის, რწმენა საკუთარ ძალებში ასეთ დროს დიდი მოკავშირეა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ თბილისელებმა მათთვის საკმაოდ უხერხული მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს. 19-ქულიანი უპირატესობაც სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მოსკოვის „დინამოს" ამ შეხვედრაში წარმატების შანსი, ფაქტიურად, არც ჰქონია.

თბილისელებმა ამოცანა პირნათლად შეასრულეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ცხადია, ამის შემდეგ, ფსიქოლოგიური განტვირთვის პერიოდი დადგებოდა და დინამოელები „შახტიორთან" შეხვედრას სრული დატვირთვითა და მაქსიმალური მონდომებით ვერც ჩაატარებდნენ. მით უმეტეს, რომ მათ, ვიმეორებთ, სეზონის მთავარი ამოცანა გადაჭრილი ჰქონდათ, დონეცკელები კი ანალოგიური მიზნისკენ მიიწევდნენ (თანაც შინ).

ერთი სიტყვით, ბრძოლა ამ მატჩში დონეცკელთათვის ხელსაყრელ პირობებში წარიმართა და ჩვენის აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს თბილისელთა მწვრთნელებმა, როცა მოედანი ახალგაზრდობას დაუთმეს. „შახტიორმა" ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა 102:92 და ფინალის მეექვსე საგზური მიიღო.

ახლა იმის შესახებ თუ როგორ და რატომ განაწილდა ადგილები ამდაგვარად სატურნირო ცხრილში. ცსკა-სა და „ჟალგირისის" უპირატესობა აშკარაა. მათ დანარჩენ მეტოქეებზე მეტი ქულა აქვთ მოპოვებული. თბილისის „დინამომ", ვეფ-მა და „შახტიორმა" 35-35 ქულა დააგროვეს. ასეთ დროს დებულება პირველ რიგში ყურადღებას აქცევს ურთიერთშეხვედრათა შედეგებს. თბილისელებს ორი მატჩი აქვთ მოგებული ვეფ-თან და ერთიც „შახტიორთან". ისინი ამ სამეულში პირველ ადგილზე არიან (ე. ი. სატურნირო ცხრილში — მესამეზე). ამ პრინციპით განაწილდა მომდევნო ადგილებიც.

ლენინგრადის „სპარტაკმა" და კიევის არმიელებმა გათამაშების პირველი ეტაპი ერთნაირი მაჩვენებლებით დაამთავრეს — 34-34 ქულით. მაგრამ ფინალში ამ ორი გუნდიდან მხოლოდ ერთი უნდა გასულიყო. აქაც მხედველობაში იქნა მიღებული მეტოქეთა ურთიერთშეხვედრის შედეგები. კიევის არმიელებს პირველი წრის მატჩი მხოლოდ 1 ქულით ჰქონდათ მოგებული, ლენინგრადის „სპარტაკმა" კი მოწინააღმდეგე 19 ქულით დაამარცხა. აი, ამ ნიშნით გავიდა „სპარტაკი" ფინალისტთა ექვსეულში.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 17 | 5 | 2075-1801 | 39 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 21 | 15 | 6 | 1854-1725 | 36 |
| „დინამო" (თბილისი) | 22 | 13 | 9 | 1749-1816 | 35 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 13 | 9 | 2011-1975 | 35 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 22 | 13 | 9 | 1784-1783 | 35 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 22 | 12 | 10 | 1803-1768 | 34 |
| ასკ (კიევი) | 22 | 12 | 10 | 1835-1890 | 34 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 22 | 8 | 14 | 1841-1843 | 30 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 22 | 8 | 14 | 1802-1896 | 30 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 8 | 13 | 1825-1898 | 29 |
| რტი (მნ.) | 22 | 6 | 16 | 1762-1801 | 28 |
| ასკ (ა-ათა) | 22 | 6 | 16 | 1774-1924 | 28 |

# ორი ტურნირი

**მადრიდსა** და პარიზში გაიმართა ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო ტურნირები კალათბურთში. ესპანეთის დედაქალაქში ასპარეზობდნენ ადგილობრივი „რეალი", იუგოსლავიის, ბრაზილიისა და აშშ-ის ნაკრები გუნდები. პარიზის ტურნირში „რეალი" საფრანგეთის ნაკრებმა შეცვალა.

მადრიდში „რეალმა" და იუგოსლავიის ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგეს ამერიკელებს (შესაბამისად 123:112 და 142:105). ბრაზილიის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში არ იყო ოსკარ შმიტი, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ორივე ფავორიტს. იუგოსლავია-ბრაზილიის მატჩის ბედი დრაჟენ პეტროვიჩის (37 ქულა) მაღალმა ინდივიდუალურმა ოსტატობამ იუგოსლაველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა — 86:80. უფრო დაძაბული გამოდგა ბრაზილიელთა შეხვედრა „რეალთან". პირველი ტაიმი ფრედ — 41:41 დამთავრდა და საბოლოოდ „რეალმა" გაიმარჯვა — 83:81.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „რეალი" და იუგოსლავიის ნაკრები. მასპინძელთა უპირატესობა პირველივე ტაიმში გამოიკვეთა — 61:46. მეორე ტაიმში იუგოსლაველებმა ძირითადად ძმები პეტროვიჩების კარგი თამაშის წყალობით შეამცირეს სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. „რეალმა" ანგარიშით 93:89 გაიმარჯვა და ტურნირზე I ადგილი დაიკავა. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბრანსონი (21 ქულა), სპრინგსი (20), ბირიუკოვი (16). დამარცხებულთაგან — დრაჟენ პეტროვიჩი (33), ალექსანდრე პეტროვიჩი (19).

თუ მადრიდის ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა, პარიზის ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. იუგოსლაველებმა კვლავ დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები — 98:90, ხოლო ფრანგებმა ძლივს მოუგეს ბრაზილიელებს — 89:86. გადამწყვეტი მატჩი საფრანგეთის და იუგოსლავიის გუნდებს შორის, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" აღნიშნავს, ძალზე დაძაბულად წარიმართა. იუგოსლაველთა მცირე უპირატესობა მნიშვნელოვნად განაპირობა დრაჟენ (38 ქულა) და ალექსანდრე პეტროვიჩების (22 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა. ანგარიშით 111:105 გაიმარჯვა იუგოსლავიის ნაკრებმა. ფრანგთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: დიუბისონი (39 ქულა), შანიელი (18). პარიზის საახალწლო ტურნირში პირველი ადგილი წილად ხვდა იუგოსლავიის ნაკრებს, მეორე —ფრანგებს, მესამე — ბრაზილიელებს.

**მერაბ კალანდაძე.**

# უჩვეულო პროგრამა

## ანუ ექსპერიმენტმა არ გაამართლა

**მოსკოვის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება უჩვეულო პროგრამით ჩატარდა. მაგალითად, ხუთჭიდელებმა ნაცვლად 300 მეტრისა, 400 მეტრი გაცურეს, ნაცვლად 4 კილომეტრისა, 5 კილომეტრი ირბინეს, ტყვიის სროლაში ტრადიციულ „სილუეტთან" ერთად მრგვალ სამიზნეზე სროლაშიც გამოსცადეს ძალა.

ეს ექსპერიმენტი გახლდათ, მაგრამ მწვრთნელებისა და სპორტსმენების აზრით მან არ გაამართლა. შეჯიბრების ორგანიზატორები თავს იმართლებენ, წლის დამდეგს საერთო ფიზიკურ მომზადებაზე გვინდოდა ყურადღების გამახვილებაო. ასე იყო თუ ისე, ეს უჩვეულო პროგრამა ბევრ სახელოვან სპორტსმენს „ეუცხოვა". მათ შორის ჩვენი თანამემამულენიც იყვნენ: იგორ ბრიზგალოვმა 5062 ქულა მოაგროვა და XIII ადგილი დაიკავა, ვახტანგ იაგორაშვილს მეთვრამეტე შედეგი ჰქონდა — 5000 ქულა. თუმცა, აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი ხუთჭიდელები მ[illegible] შეჯიბრ[illegible] [illegible]რობდნენ, [illegible] სერიოზული სტარტებისთვის რაც შეიძლება უკეთ მომზადება სურდათ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე უ[illegible]თავრესი სულ მალე, თებერვალში ტალინში მოეწყობა. ეს საკავშირო თასის გათამაშება გახლავთ.

ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ: სტანისლავ გოსუდაროვი (კუიბიშევი; 5212,5 ქულა), ალექსანდრე მაკეევი (მოსკოვის ოლქი; 5173 ქულა) და მიხეილ მიაგკოვი (მოსკოვი; 5169 ქულა).

# „პელეს თასი"—არგენტინელებს

ბრაზილიაში მიმდინარე ვეტერან ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირის გათამაშების ბოლო ტურში ჩატარდა 2 მატჩი. არგენტინელებმა დიდი უპირატესობით ითამაშეს ურუგვაის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. ბურთები გაიტანეს: ბერტამ, მასმა, ბაბინგტონმა და გონზალესმა. იმავე ტურში ბრაზილიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 2:1, ამასთან, ბრაზილიის ნაკრებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე (რიველინო).

ტურნირის დამთავრების შემდეგ გუნდები გათამაშების ცხრილში ასე განლაგდნენ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 5 |
| ბრაზილია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 5 |
| ურუგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 5 |
| გფრ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 3 |
| იტალია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 2 |

„პელეს თასის" დებულების შესაბამისად პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები საერთო გამარჯვებულის გამოსავლენად 18 იანვარს შეხვდნენ ერთმანეთს სან-პაულუში. არგენტინისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა შეხვედრა მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა არგენტინელთა გამარჯვებით — 1:0.

არგენტინელ ვეტერან ფეხბურთელებს საპატიო პრიზი — პელეს ქანდაკება — გადასცა თვით ლეგენდარულმა ბრაზილიელმა პელემ.

**იტალია**

კვირას დაიწყო ჩემპიონატის მეორე წრე. ნეაპოლში „ნაპოლი" ერთ-ერთ აუტსაიდერს „ბრეშიას" შეხვდა. სტუმრებმა მატჩის პირველივე წუთებიდან დაიწყეს „ნადირობა" მარადონაზე. მე-12 წუთზე, მორიგი უხეშობის შემდეგ მარადონამ რამდენიმე წუთით დატოვა მოედანი. სანამ ექიმები მას დახმარებას აღმოუჩენდნენ, „ნაპოლის" მცველმა ფერარამ გახსნა ანგარიში. თუმცა მარადონა მალე დაბრუნდა მოედანზე, მაგრამ მთელი ძალით ველარ თამაშობდა. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და „ბრეშიას" ფეხბურთელები რამდენჯერმე ძლივს გადაურჩნენ გოლს, მეორე ტაიმის მე-10 წუთზე სტუმართა იშვიათი კონტრშეტევის დროს ბრანკომ გაათანაბრა ანგარიში. „ბრეშია" ყოველნაირად ცდილობდა მარადონას თამაშიდან გამოთიშვას და მალე საწადელს მიაღწია: 62-ე წუთზე მორიგი შეტაკების შემდეგ არგენტინელმა ფეხბურთელმა საბოლოოდ დატოვა მინდორი. სამი წუთის შემდეგ კი მასპინძელთა შტურმი დამთავრდა პენალტით, რომელიც ჯორდანომ გამოიყენა — 2:1.

25.000 მაყურებელი ესწრებოდა „იუვენტუსისა" და „უდინეზეს" შეხვედრას. ანგარიში მე-12 წუთზე ლაუდრუპმა გახსნა, 24-ე წუთზე გრაციანიმ აღადგინა წონასწორობა, ხოლო 71-ე წუთზე მანფრედონიამ უძნელესი მდგომარეობიდან გაიტანა გოლი და გამარჯვება მოუტანა „იუვენტუსს" — 2:1. კარგად ითამაშა მიშელ პლატინიმ, რომელიც თანდათან უახლოვდება თავის საუკეთესო ფორმას.

წამყვანი ფეხბურთელების დი ჯენაროსა და ფონტოლანის არყოფნის მიუხედავად ვერონის „ელასმა" დაამარცხა „ტორინო" — 2:1. ანგარიში მასპინძელთა მოთამაშემ ელკიაერმა გახსნა, შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე პირეჯიმ გაათანაბრა ანგარიში, შეხვედრის ბოლო წუთებში კი „ელასის" თავდამსხმელმა პაოლო როსიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა სტუმართა კარში. როსიმ შესანიშნავი თამაშით 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გაახსენა მაყურებლებს.

„ასკოლიმ" ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა — საკუთარ მოედანზე დაამარცხა „მილანი" — 1:0. „ინტერმა" მოუგო „ემპოლის" — 2:1. მილანელთა მხრიდან გოლები გაიტანეს მატეოლიმ და მანდორლინიმ, ხოლო „ემპოლის" ერთადერთი ბურთი შვედი ექსტრემის ანგარიშზეა.

სხვა შედეგები: „კომო" — „რომა" 0:0, „ფიორენტინა" — „აველინო" — 2:0, „ატალანტა" — „სამპდორია" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 16 | 25:11 | 24 |
| „ინტერი" | 16 | 21:8 | 22 |
| „იუვენტუსი" | 16 | 22:14 | 21 |
| „ელასი" (ვერონა) | 16 | 19:15 | 20 |

(გალი და კალდერონი). ურალდესა და მარინას გოლებმა გამარჯვება მოუტანეს მადრიდის „ატლეტიკოს" „კადისთან" შეხვედრაში. მალიორკის „რეალისა" და „საბადელის" შეხვედრაში მასპინძელთა თავდამსხმელი მაროკოელი ჰასანი ორჯერ დაეცა სტუმართა საჯარიმო მოედანზე, მსაჯმა ორივეჯერ მეტად საეჭვო პენალტი დანიშნა, მაგრამ მალიორკელებმა მხოლოდ ერთი გამოიყენეს — 1:0. სხვა შეხვედრები: „რასინგი" (სანტანდერი) — „სევილია" 2:0, „რეალი" (სარაგოსა) — „რეალი" (მურსია) — 0:0, „სპორტინგი" (ხიხონი) — „უნიონი" (ლას პალმასი) — 1:2. შეხვედრა „ოსასუნასა" და ვალიადოლიდის „რეალს" შორის გადაიდო უამინდობის გამო.

ნაკრების მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა გამოაცხადა იმ 16 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგურ შეხვედრაში ჰოლანდიის ნაკრებთან. ნაკრებში პირველად მიიწვიეს „სევილიის" თავდამსხმელი რამონი, რომელსაც ჩემპიონატში 13 ბურთი აქვს გატანილი და მხოლოდ უგო სანჩესს ჩამორჩება (18 გოლი).

# საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**ესპანეთი**

შეხვედრა „ბარსელონასა" და ბილბაოს „ატლეტიკს" შორის მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. „ბარსელონამ" გაიმარჯვა ანგარიშით 4:1. „ატლეტიკს", რომელიც ფეხბურთელების ტრავმების გამო თითქმის მთელ ჩემპიონატს სათადარიგო შემადგენლობით ატარებს, ამ მატჩშიც 5 წამყვანი მოთამაშე აკლდა. ამჯერად კარგად ითამაშეს „ბარსელონის" ბრიტანელმა თავდამსხმელებმა ლინეკერმა და ჰიუზმა, რომლებიც წლევანდელ სეზონში დიდად არ ბრწყინავენ. მათ თითო ბურთი გაიტანეს. დანარჩენი ორი გოლი რობერტოსა და კარასკოს ანგარიშზეა. ბილბაოელმა ურტუბიმ ერთადერთი საპასუხო ბურთი გაუტანა ყოფილ თანაგუნდელს სუბისარეტას. სან-სებასტიანში მადრიდის „რეალმა" დაამარცხა ადგილობრივი „რეალ-სოსიედადი" — 2:0. ბურთები გაიტანეს გორდილიომ და გალიეგომ. სევილიაში „ბეტისმა" მოუგო „ესპანიოლს" — 2:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 23 | 34:10 | 35 |
| „რეალი" (მადრიდი) | 23 | 41:19 | 33 |
| „ესპანიოლი" | 23 | 36:20 | 30 |

**ინგლისი**

თოვლმა ხელი შეუშალა 25-ე ტურის ნორმალურად ჩატარებას. შედგა მხოლოდ 3 მატჩი: „არსენალი" — „კოვენტრი სიტი" — 0:0, „ევერტონი" — „შეფილდ უენზდეი" — 2:0, „მანჩესტერ სიტი" — „ლივერპული" — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 25 | 41:13 | 52 |
| „ევერტონი" | 25 | 43:20 | 50 |
| „ლივერპული" | 25 | 43:24 | 45 |

# სპეციალური პრიზიც დაიმსახურა

**ზამთრის** არდადეგების დღეებში დონეცკში გაიმართა სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალიზებული სპორტული სკოლების პირადი პირველობა მოზარდ 1971-1972 წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის. შეჯიბრებაში, რომელშიც 44 რესპუბლიკისა და ქალაქის 264 წარმომადგენელი მონაწილეობდა, საქართველოს სპორტულ ღირსებას ოთხი გუნდი იცავდა.

ჩვენი მოკრივეებიდან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს — პირველი ადგილები დაისაკუთრეს მათე კოლუაშვილმა (50 კგ; ქუთაისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, მწვრთნელები ვალერი ბურჯანაძე და სერგო ჩიხლაძე), ვაგიფ აბასოვმა (60 კგ; მწვრთნელი ნორიკ მარდანოვი) და დიმიტრი ავდალიანმა (79 კგ; ორივე — განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლა, „შრომითი რეზერვები", მწვრთნელი ალექსი ბოტნიკოვი). აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ვაგიფ აბასოვი.

II ადგილები დაიკავეს ელდარ ალოიანმა (60 კგ, „ბურევესტნიკი", მწვრთნელი ნოდარ ქიქავა) და ზვიად კაკიაშვილმა (70 კგ, „ბურევესტნიკი", თბილისი, მწვრთნელი ირაკლი არაბული).

# ზვავებთან ჭიდილში

(დასასრული)

ლო მონაწილე. — იმ ადგილს, სადაც უბედურება დატრიალდა, 10 კილომეტრილა გვაშორებდა. მაგრამ ასეთ პირობებში მოძრაობის გაგრძელება, შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, ყოველგვარ აზრს დაკარგავდა: როცა თოვლის საფარის სიმაღლე ორი ადამიანის სიმაღლეს აღემატება, 10 კილომეტრის გავლას, სულ ცოტა, ორი დღე მაინც სჭირდება, ბიჭს კი, მიღებული ცნობის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა. დადგა ავიატორების ჯერი. მაგრამ ვერც მათ შეძლეს გუდისში ექიმების ჩაყვანა — ვერტმფრენების პილოტთა მაღალი ოსტატობა და დიდი სიმამაცეც არ აღმოჩნდა საკმარისი ნისლის სქელი საბურველის გადასალახავად. ნისლი რომ გაიფანტა, გვიანღა იყო...

ამ ამბავზე საგანგებოდ იმიტომ შევჩერდი, რომ ეს, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წარუმატებლად დამთავრებული ოპერაცია იყო. ყველა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება დროულად აღწევდა მიზანს.

მაგრამ გამოცდილი, 35 წლის სტაჟის მქონე ალპინისტის სიტყვებში სინანული იგრძნობოდა: დიახ, უბედურებისგან იხსნეს ათობით, ასობით ადამიანი, მაგრამ ფიქრი მაინც იმ ერთ, ვერგადარჩენილ სიცოცხლეს დასტრიალებს.

ალპური კლუბის დირექტორის კაბინეტში სითბო და სიმყუდროვე სუფევს, მასპინძელი კი გამუდმებით იმათზე ფიქრობს, ვინც ჯერ კიდევ არ დაუხსნიათ თოვლის ტყვეობიდან. როგორც საქართველოს ჰიდრომეტცენტრის მთავარმა ინჟინერმა ჯ. დოლიძემ გვაცნობა, მოსალოდნელია ამინდის ხშირი ცვალებადობა და ამიტომ მდგომარეობის სრულ ნორმალიზებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია.

... სოფელ გუდაურიდან განგაშის პირველი სიგნალი 9 იანვარს მოვიდა. გაუთავებელმა თოვამ ზვავები გამოიწვია. ტყვეობაში აღმოჩნდა 500-მდე დამსვენებელი — ახალი სამთო-სათხილამურო ცენტრის სტუმრები, მათ შორის — რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სამთო-სათხილამურო სკოლის 200-მდე მოსწავლე. შეწყდა ელექტრომომარაგება, დაირღვა კავშირი, მწყობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა.

რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში თანამედროვე თოვლსაწმენდი ტექნიკა „ჩაერია“, ვერ მოხერხდა საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-გუდაურის მონაკვეთის გაწმენდა. კვლავ აუცილებელი შეიქნა ავიატორთა დახმარება.

მაშველი სამუშაოების ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ა. გელაშვილს. დაბა ფასანაურში მოწყობილი პატარა ასაფრენი მოედნიდან ჰაერში ზედიზედ აფრინდა სამი ვერტმფრენი (ავიაესკადრილიის მეთაური ს. კიტია). სამაშველო ჯგუფი გუდაურში მხოლოდ მესამე ცდაზე ჩაიყვანეს...

12 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა ადამიანთა ევაკუაცია. ისინი ვერტმფრენებით ფასანაურში გადაჰყავდათ, იქიდან კი ავტობუსებითა და ავტომანქანებით — თბილისში. საათივით აწყობილი, ორგანიზებული მოქმედება სამაშველო სამუშაოებში ჩაბმული ყველა სამსახურის სრული მობილიზაციის წყალობით გახდა შესაძლებელი. საღამოს ხუთასივე „თოვლის ტყვე“ უკვე ახლობლებისა და მეგობრების წრეში იყო.

ამბობენ, სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაცდელში ჩავარდნილებს კიდევ უფრო მტკიცედ აკავშირებს ერთმანეთთანო. მძიმე წუთებში ადამიანები ვაჟკაცობას, სიმტკიცესა და თავგანწირვას იჩენენ. გუდაურში მაშველ ჯგუფს შეუერთდნენ ავსტრიელები — ფირმა „აბვ“-ის თანამშრომლები, რომლებიც იქ სასტუმრო კომპლექსს აშენებენ. სოფელ სეთურებიდან გუდაურში, ვერტმფრენებთან, მათ საკუთარი მანქანებით გადაიყვანეს სამთო-სათხილამურო სკოლის ასამდე მოსწავლე.

ეს ოპერაცია დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჯვრის უღელტეხილზე განლაგებული მეტეოსადგურიდან განგაშის სიგნალი მოვიდა: იქაურ მუშაკებთან ერთად სადგურში იმყოფებოდა კიდევ ცხრა ადამიანი, რომელთაც თოვამ გზაში მოუსწრო. მათ შორის იყო სამი ქალი, ერთ-ერთს ღვიძლის მწვავე შეტევა დასწყებოდა. ვერტმფრენმა კურსი შეიცვალა და მეტეოსადგურისკენ გაფრინდა. ექიმებმა ავადმყოფს დროულად აღმოუჩინეს პირველი დახმარება.

13 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ ხახმატში ჩამოწოლილ ზვავს მსხვერპლი მოჰყვა. ოთხი ადგილობრივი მოსახლიდან, რომლებიც ზვავმა დაიტანა, სამი დაიღუპა. სასწაულებრივად გადარჩა, თუმცა მძიმედ დაშავდა, ერთი ქალი. მაგრამ საბედისწერო შედეგი აქაც გარდაუვალი იქნებოდა, სამთომაშველთა და ავიატორთა დროული დახმარება რომ არა: დაშავებული თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს.

სტიქიასთან ბრძოლა გრძელდება. აღდგენითი სამუშაოები ორგანიზებულად მიმდინარეობს. დაზარალებულ რაიონებში მოწესრიგებულია კვების პროდუქტების, მედიკამენტების, პირუტყვის საკვების, საწვავის მიწოდება. განსაკუთრებით სახიფათო ზონებში ხელოვნურად იწვევენ ზვავებს. უმეტეს რაიონებში მთლიანად აღდგენილია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი, განახლდა ელექტროენერგიის მიწოდებაც. მომხდარი უბედურებისთანავე დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრნენ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. ასობით ადამიანის ერთობლივი მეცადინეობის წყალობით საქართველოს მთიან რაიონებში ცხოვრება თანდათან ჩვეულ კალაპოტში დგება.

ჩვენ კი ისევ დავუბრუნდეთ საუბარს ნოდარ კანკავასთან.

— ჩვენი კლუბის სამთო-სამაშველო სამსახურს საშტატო განრიგით სამი თანამშრომელი ეკუთვნის. თავისთავად ცხადია, სამი კი არა, სამჯერ სამი მაშველიც უძლურია ასეთი მასშტაბის სტიქიასთან ბრძოლაში. მაგრამ, როგორც კი გამოქვეყნდა პირველი ცნობები მთიელების ბედზე, დახმარების ხელი გამოგვიწოდეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა. გვირეკავდნენ და მოდიოდნენ არქეოლოგები და ფიზიკოსები, ბიოლოგები და მათემატიკოსები, ექიმები და ინჟინრები. ყველა მათგანი ალპინისტია, მათ შორის არიან სპორტის ოსტატებიც, ოსტატობის კანდიდატებიც, პირველთანრიგოსნებიც. სწორედ ამ ხალხისგან ვადგენდით სამაშველო ჯგუფებს.

თითქოს დირექტორის სიტყვების დასადასტურებლად (სხვათა შორის, იგი თავადაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია ალპინიზმში) აწკრიალდა ტელეფონი. რეკავდნენ ქუთაისელი მთამსვლელები, რომლებიც ის იყო დაბრუნებულიყვნენ ლენტეხის რაიონში ჩატარებული სამაშველო ექსპედიციიდან.

მზად ვართ, კვლავ გავუდგეთ გზას, — თქვეს ქუთაისელებმა.

როცა ბატონ ნოდარს სამთო-სამაშველო სამუშაოთა რამდენიმე მონაწილის დასახელება ვთხოვე, მტკიცე უარი მივიღე.

— არავის გამოყოფა არ მინდა. აი, მონაწილეთა სრული სია. ვინც გნებავთ, ის აირჩიეთ. ქებას ყველა მათგანი იმსახურებს.

არა ვარ დარწმუნებული, სწორედ ვიქცევი თუ არა, მაგრამ მეც ვამჯობინე, არავინ დამესახელებინა. ეს რომ მექნა, მე ხომ ვალში დავრჩებოდი ასობით ვაჟკაცის წინაშე — მათ წინაშე, ვინც საკუთარი სიცოცხლე ხიფათში ჩააგდო და განსაცდელში მყოფთ დაეხმარა.

**დ. კაკაბაძე,**
**„სოვეტსკი სპორტი“, 18 იანვარი.**

---

## ინფორმაცია

**გრონინგენი** (ჰოლანდია). ევროპის ჩემპიონი ციგურებში ქალთა შორის გახდა გდრ-ის წარმომადგენელი ანდრეა ერიჰ-შიონე. იგი უძლიერესი იყო ოთხივე დისტანციაზე — 178,507 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ჰოლანდიელი ივონ ვან გენიპი (180,836), მესამეზე გდრ-ის ნაკრების დებიუტანტი ჟაკლინ ბერნერი (182,425 ქულა). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი მოსკოველ ნატალია არტამონოვას ჰქონდა — 184,613 ქულა (IV ადგილი).

**ანტერსელვა** (იტალია). შაბათს და კვირას ჩატარდა ბიატლონისტთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი. ესტაფეტაში გამარჯვება საბჭოთა კავშირის პირველმა გუნდმა (ვასილიევი, ჟდანოვიჩი, მედვედცევი, პოპოვი) მოიპოვა — 1:29.28,4. 10-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი პოპოვი (სსრ კავშირი) იყო. მანვე 124 ქულით ხელთ იგდო ლიდერობა.

**დელი.** ინდირა განდის ხსოვნისადმი მიძღვნილ ბალახის ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი ჰოლანდიის ნაკრებმა მოიპოვა. საბჭოთა ჰოკეისტებმა ბოლო მატჩში სამხრეთ კორეის გუნდი დაამარცხეს (4:2) და IV-V ადგილები გაიყვეს.

**ბელგრადი.** ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მინსკის არმიელებმა დაამარცხეს ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდა“ (32:31) და ტურნირის შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

**მოსკოვი.** ხელბურთელ ქალთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა ადგილობრივი ცსკა, რომელმაც განმეორებით მატჩში სკ „ლაიფციგს“ (გდრ) აჯობა — 20:13.

**კაუნასი.** ადგილობრივი „გრანიტასის“ ხელბურთელები საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.

**ჩელიაბინსკი.** სსრ კავშირის მძლეოსანთა თასის ნახევარფინალში პერმელმა მარინა ანტონიუკმა მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა ბირთვის კვრაში — 20,34 მ (დახურული დარბაზი).

---

## კალეიდოსკოპი

### თავისუფლების კუნძული ემზადება

პრენსა ლატინის სააგენტოს ცნობით, 1991 წლის პანამერიკულ თამაშებს კუბა უმასპინძლებს. ამ ღონისძიებების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მიზნით შექმნილმა მთავრობის სპეციალურმა კომისიამ უკვე დაამტკიცა სამზადისის გეგმა.

განზრახულია აშენდეს სპორტულ ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რომელიც ახალი ოლიმპიური სტადიონის (70 ათას მაყურებელზე) გარდა მოიცავს „პანამერიკულ სოფელს“, ველოდრომს, სანიჩბოსნო არხს და ორ უნივერსალურ სპორტულ დარბაზს. გარდა ამისა, აშენდება ჩოგბურთის კორტები, ახალი სასტუმროები და საორგანიზაციო კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა. კაპიტალურად შეკეთდება არსებული ბაზები და სტადიონები.

### ახალი შემადგენლობა მსჯელობს

უნგრეთის დედაქალაქში გაიმართა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ახალი შემადგენლობის დამფუძნებელი სხდომა. თავმჯდომარედ არჩეულია ტრესტ „პანონიას“ გენერალური დირექტორი ენე შამოდი, მდივნად — მიკლოშ პანჩიჩი.

ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რომ უნგრეთის ფეხბურთში პრობლემები საკმაოდ ბევრია, მაგრამ დღეს ფედერაციის საქმიანობა ძველი პრობლემების შეფასებით არ უნდა შემოიფარგლოს. შამოდის აზრით, ახლა მთავარია უნგრულ ფეხბურთში მორალური კლიმატის გაუმჯობესება და ფედერაციის მუშაობის დემოკრატიული პრინციპებით წარმართვა.

ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს მომავალში თავისი საქმიანობის უფრო დეტალურ გეგმას წარმოადგენს, რომელიც ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო სამმართველომ უნდა დაამტკიცოს.

### აპარტეიდის წინააღმდეგ

ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინროუმ მკაცრად გააკრიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული პოლიტიკა:

— არასოდეს არ ჩავალ სათამაშოდ ქვეყანაში, სადაც აპარტეიდი ბობოქრობს.

მაკინროუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბიზნესმენებმა ერთ მატჩში მას მილიონი დოლარი შესთავაზეს.

— ადრე ამდენი ფული ჩემთვის არასოდეს შემოუძლევიათ. ამ გარემოებამ ცოტა დამაეჭვა. მივხვდი, რომ ჩემს ჩასვლას ამ ქვეყანაში პოლიტიკას უკავშირებდნენ. ამიტომაც განვაცხადე უარი, თანაც გავაფრთხილე, რომ ასეთი რამ სხვა დროს აღარ შემომთავაზონ.

მაკინროუს მხარი დაუჭირა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ინგლისელმა ლოიდ ჰანიგამმაც. მან უარი თქვა სამხრეთ აფრიკელ ჰაროლდ ფოლბრეჰტთან შეხვედრაზე.

### ვის გაუღიმებს ბედი?

იტალიის ყველა სტადიონი, სადაც 1990 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების გამართვაა დაგეგმილი, სავალალო მდგომარეობაშია. ბოლონიის „რენატო დალ არას“ არ გააჩნია გასახდელები და საშხაპეები. გენუის „ლუიჯი ფერარისზე“ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა საპირფარეშოების მოწყობა. პალერმოს „კომუნალეს“ არა აქვს განათება და ელექტროტაბლო.

კალიარის „სანტ ელიტას“, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ჩადგა მწყობრში (1970 წელს) მინდორი იმდენად უვარგისი აქვს, რომ იქ მატჩების ნორმალურად ჩატარება არ შეიძლება. რეკონსტრუქციას საჭიროებს ფლორენციის სტადიონიც. მაგრამ ამ ნაგებობას, როგორც არქიტექტურულ ძეგლს სახელმწიფო ინახავს, და შეუძლებელია ხელისუფლებისგან სტადიონის გადაკეთების ნებართვა მიიღონ.

ბარის სტადიონზე დასაჯდომი ადგილების რაოდენობა სულ ცოტა ერთნახევარჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას რომის ოლიმპიური სტადიონიც, რომელზეც მხოლოდ 66.500 კაცი ეტევა.

იტალიის ყველაზე დიდი სტადიონი „სან პაოლო“ (ნეაპოლში) ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომისიამ ელემენტარული ჰიგიენური პირობების უქონლობისთვის „შავ სიაში“ შეიტანა.

იტალიამ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად 12 სტადიონი გამოჰყო, თუმცა 52 შეხვედრის გამართვა 9 სტადიონზეც შეიძლება. საინტერესოა რომელ სტადიონებზე შეაჩერებს არჩევანს ფიფა-ს კომისია, ვის გაუღიმებს ბედი.

### თამამი განზრახვა

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ევერესტის დაპყრობა 1987 წელს ოცამდე სხვადასხვა ქვეყნის ალპინისტებს აქვთ განზრახული. მათ შორისაა 31 წლის კატმანდუელი შამბუ ტამანგი, რომელმაც ორჯერ უკვე დალაშქრა ევერესტი. პირველი ასვლა 8848 მეტრის სიმაღლეზე მან 1973 წელს განახორციელა (მაშინ ტამანგი 18 წლისა იყო და ეს თავისებური რეკორდი დღემდე ვერავინ გააუმჯობესა), მეორედ კი მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი 1985 წელს დაიპყრო.

— თუ მესამედაც ავედი, ალპინიზმს თავს დავანებებ, თუ არა და... ვეცდები სხვა დროს ავისრულო ნატვრა.

ტამანგს განზრახული აქვს მწვერვალი სამხრეთ-აღმოსავლეთის თხემის მხრიდან დალაშქროს, უფრო სწორად იმ გზით, რომელიც ედმუნდ ჰილარიმ და ნორგეი თენსინგმა ჯერ კიდევ 1953 წელს აღმოაჩინეს.

კალეიდოსკოპი

---

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მესამე ტირაჟები:

„სპორტლოტო 6 45“-დან: 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 11 (ფრენბურთი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 20 (აფროსნობა), 21 (ცურვა).

---

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

### ეძღვნება რესპუბლიკის პროფკავშირების ყრილობას

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო 24 იანვარს, სოფელ გლდანის საჭიდაო დარბაზში ატარებს მასობრივ შეჯიბრება-ტურნირს

**ქართულ ჭიდაობაში**

მონაწილეობენ: თბილისის, მცხეთის, კასპის, ქარელის, გორის, ცხინვალის, გარდაბნისა და საგარეჯოს მოყვარული მოჭიდავეები.

დასაწყისი 13 საათზე.



24 იანვარს 16 საათზე, ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქუჩა, 37) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საერთაშორისო დიდოსტატი **ლ. პოლუგაევსკი** „სიცილიური დაცვის ზოგიერთი ასპექტი“, საერთაშორისო ოსტატი **ზ. აზმაიფარაშვილი** „გრიუნფელდის დაცვა“ და დოცენტი **გ. გამრეკელი** „მორფი როგორც სტრატეგი“.

25 იანვარს 11 საათზე სემინარულ მეცადინეობას ჩაატარებენ: დახელოვნების ფაკულტეტზე **ლ. პოლუგაევსკი** და ოსტატი **თ. კიკიანი**; ინსტრუქტორ-მწვრთნელთა ფაკულტეტზე დოცენტი **გ. თხელიძე** და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **შ. ინწკირველი**, ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ფაკულტეტზე საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **ო. ალხანიშვილი** და საერთაშორისო არბიტრი **ე. მელიქსეტ-ბეგი**.

---

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06734